

გამომცემლობა

თბილისი 33
თელავ ქუჩა

მ ბ მ რ ა ნ ი 1917

გამომცემლობა.

ქურნალი „ეშაკის მათრახის“ გამომცემლობა იძულებული ხდება კვლავ გაადიდოს ქურნალის ფასი შაურით, 20 კ. მაგივრათ 25 კ. ეს არასასურველი გარემოება გამომცემლობისა გამოწვეულია მასალის და მუშახელის საგრძნობლათ გაძვირებისაგან. ერთი

თვის წინათ აწყობა ქურნალისა ღირდა 80 მ., დღეს 150 მ., ქალაქი—11 მანეთი, ეხლა 21 მ., შექმნილ პირობებში გამომცემლობამ დეფიციტი აქვს; მას ორი გამოსავალი დარჩა: ან შეჩერება ქურნალის, ან ფასის მომატება.

ჩვენ უკანასკნელი ვარჩით. კანტორა „განათლება“.



როგორ აღადგინა ეშაკმა სამხედრო მინისტრის ავტორიტეტი (იხ. წერილი „ეშაკის ოინი“).

ემშაკის ოინი



სტრმა ეს ამბავი არ იცოდა, ~~თორემ უნდაც~~ სიხარულის ქარი აიტაცებდა. ~~მისი~~

ემშაკი დაჯდა და დასწერა „ბრძანება ჯარისამში“, რომლის ნაწილი ჩვენი ჟურნალის პირველ გვერდზე არის გაკრული. „ბრძანება“ სახელად ჰქვია, თორემ რა ბრძანება არის ეგ! გარდა იმ პირველი მუხლის, რომელსაც თქვენ სურათზე ამოიკითხავთ, ბრძანებაში კიდევ რვა მუხლი იყო.

ემშაკი ჰპირდებოდა ჯარს ყოველგვარ შეღავათებს: მიწას 50 დესეტინას თითო სულზე; თითო ორ სართულიან სახლს ქალაქებში; თითოს ან ორ-ორ საცოლოს ომის გათავების შემდეგ. თითო ვედრა არაყს; თითო ზურჯუას მოჯამაგირეთ და სხვ. მრავალს. ბრძანებას ხელი მოაწერა მინისტრის მაგიერ, (ვინაიდან ახლა თავისუფლება არის და ყველას შეუძლია სხვისი სახელი მიითვისოს) და გააკრა ქუჩებში.

უნდა გენახათ რა სიხარული გამოიწვია მან ჩვენს მხედრობაში. და როგორც გაზარდა მინისტრის ავტორიტეტი.

მოიხილო.

ცხრა დღე იჯდა. ცხრა დღის განმავლობაში მას არ გაუტყინია. ცხრა გრძელი ზეფხულის დღე გაატარა მან უქმელ-უსმელში. ცხრა დღის განმავლობაში მას თავი მაღლა არ აუღია; ცხრა დღე ქმუნვასა და ფიქრში იმყოფებოდა.

ემშაკს საზოგადოთ უყვარს ყველაფერი „დროებითი“, ვინაიდან ქვეყნად ყოველივე დროებითია, მაგრამ „დროებითი მთავრობა“ პირდაპირ მისი სიყვარულის საგანს შეადგენს. ძველი უდროული მთავრობაც კი უყვარდა მას, რომ ვასაკვირო არ დარჩეს ახალისა და დროებითის სიყვარული.

იჯდა ემშაკი და ცხრა დღე ფიქრობდა, თუ როგორ აღედგინა რევოლიუციონურ ჯარის თვალში ავტორიტეტი დროებითი მთავრობისა. დისკიპლინა რამდენი ზანია რაც გარდაიცვალა და ის ხომ ერთადერთი საშუალება იყო სიყვარულის მოსახვეჭათ. მართლაც, როგორ უნდა შეგვიყვარო თუ არ გამროზგე, თუ ციხეში არ ჩამაგდო, თუ არ ჩამომხბრჩვე, ან არ დამხვრიტე? სიყვარულის გრძობა ხომ უნდა ეყრდნობოდეს რაიმე ფიზიკურ საფუძველს. უტოპია ხომ არ არის, რომ პაერში გამოკიდული არსებობდეს?

დროებით მთავრობაში სამხედრო მინისტრი ყველაზე მეტათ ეცოდნება მას. რევოლიუციონური ჯარი, ეს ხომ სამხედრო მინისტრის საფუძველია.

ვიღრე ემშაკი ფიქრად დაჯდებოდა, მან მოინახულა ათასი მიტინგი, ათი ათასი კერძო თავისუფალი მხედარი და ამგვართ გაეცნო მათ მისწრაფებას, მათ მოთხოვნადებებს, მათ ვაიგო, თუ რა ამებს და რა ამბარზებს ჯარს; რას ეტრფის და რას გაურბის იგი, რა იზიდავს და რა აფრთხობს მას.

მიუხედავათ ამისა ცხრა დღე და ღიმე იჯდა ემშაკი, და ყოველივე თავის აზრს ცხრა-ცხრაჯერ ზომავდა. იჯდა და ფიქრობდა:

— რა ვენა, როგვრ ვუშველო, რით აღვადგინო ავტორიტეტი დროებითი მთავრობისა, რით მოვუხვეჭო მხედართა სიყვარული სამხედრო მინისტრს...

და აი, მეცხრე დღის მიწურულში გონება მისი განაწილდა ბრწყინვალე უზრმა. მის სახეზე ღიმშილი გავიარდა. ყველას იმედი მოგვეცა. მინი-

პატარა ფელეტონი

მამი პოლიტიკისაზანი

„გერძით ჩვენმა სიამ-3179 ხმა მიიღო... არჩვენებასთვის შეთანხმება გეტონდა უკრანელებთან, არა იმიტომ, თითქო მათი ხმე ბით ვყოფილაოთ დაინტერესებუნი; ამ შემთხვევაში ჩვენ პოლიტიკური მოსაზრებით ვებუძღვანელობით“.

(სახელბო საქმე № 19).

ჩვენი სამშობლოს უბედურების მიზეზს უმოთვრესათ ის შეადგენდა, რომ არა გყავდა გამოცლილი პოლიტიკოსებო.

ეს ასე იყო ძველათ და თითქმის ასევეა ახლა, თუ სახეში არ მივიღებთ ერთად ერთ სანუგეშო მოვლენას, — სახელდობრ ჩვენს ქვეყანაში „სოციალისტ“-ფედერალისტთა გაჩენას.



მ.რთალია მათ გაჩენას მხოლოდ ცამეტობდ წლის ისტორია აქვს, მაგრამ ისტორიაც არის და ისტორიაც.

ამ თორმეტი წლის განმავლობაში მათმა სახელმა ჟანდარმა სამმართველოს უფროსის ყუ-რამდეც კინალამ მიახწია. როგორც კი დიდადა, პარტიას მაშინვე ემწინოდა, სადაც ადგილია, რომ ბედდური პოლიტიკოსი დადგებოდა, მაგრამ იმას, რაც მათგან დადგა, ვერავითარი გიჟური ფანტა-ზიაც კი ვერ წარმოადგენდა.

თითოეული მათი ნაბიჯი ეს ბრძნული პოლი-ტიკური აქტია. ჩვენი ქვეყნაც სამართლიანად ამა-ყობს მითი და ჩვენი ხალხიც სამართლიანად ეკედ-ლებდა მათ.

შედეგები მათი პოლიტიკური გამოსვლისა ეს თფილისის საარჩევნო ბლოკია.

პოლიტიკოსობა ეს, ერთგვარი სახეა ეშმაკო-ბისა. კარგი პოლიტიკოსი საქმეს ძირში უყურებს. შენ რომ აქ გელაპარაკება გგონია, იგი ამ დროს ცხრა საფეხზეა ქვეყნულ ქვეშ და იქიდან უკავებს. უბრალო მომაკვდავი ვერაფერსაც ვერ გაუ-გებს კარგ პოლიტიკოსს, ვინაიდან თუ პოლიტი-კოსს გაუფეგ განზრახვა, ის მაშინ რაღა პოლიტი-კოსია. ასეთი პოლიტიკოსი ბოლოკის კუღია და არა პოლიტიკოსი.

თფილისის ყველა პოლიტიკური პარტია შეა-შინა იმ პოლიტიკურმა ნაბიჯმა, რომელსაც „ფე-დერალისტ-უკრაინელთა“ ბლოკი ეწოდება. შეაში-ნა იმიტომ, რომ ბლოკი საზოგადოთ საშიშარი რამეა და მერე ასეთი პარტიებისა ხომ კიდევ უსა-შიშროებს.

სხვათა შორის ამ გარემოებაში აშხ. ეშმაკიც ძლიერ დაინტერესა. ის შეეცადა გავგო ნამდვილი პოლიტიკური მიზნები ბლოკისა, გაერკვია ფარული განზრახვა „სოც. ფედერალისტებისა“, რომელნიც უყენენ ინიციატორნი ბლოკისა. მართლაც ხომ უნდა ჰქონოდა ამ ბლოკს რაიმე პოლიტიკური სარჩული?

მოსაზრება აქ მრავალგვარი შეიძლება:

ა) შეიძლება უკრაინელებთან ბლოკით ფედე-რალისტებს სურდათ კიევის დუშაში რამოდენიმე ქართველი ხმოსნის გაყვანა, რომ მათი საშუალე-ით დაიკონ ადგილობრივ ქართველ სტუდენტთა ინტერესები.

ბ) შეიძლება ფედერალისტებისა და ფარუ-ლი განზრახვა თავისი მომეე „უკრაინის“ პარტია გაეძლიერებია. ერთი ესერის გაყვანით და მით სოციალისტობის მოწმობის აღება გაეადვილებოთ.

გ) შეიძლება აგრეთვე (და დინახავთ რომ ეს მუხლი მართალია) ფედერალისტებს სურდათ თავი-სი უძღურების დაფარვა სხვის გვერდზე ამიტუშ-ვით. ხომ გაავგონათ, ერთხელ ათღამი რომ იკ-ვებოდა: მე და თფული ერთად ძლიერ გემპრიელი ვართო.

თავის თავად ცხადია, რომ მუხედავთ ღრმა პოლიტიკური მოსაზრებისა, პირველი ორი მუხლი შეიძლება უარყოფილ იქმნას და განიხილოს მხო-ლოდ მესამე.

სოც. ფეტერალისტთა პარტიას კარგა ხანია შეჭრის ავთმყოფობა სტანჯავს და ნელ ნელა ბუნებრივი სიკვდილისაკენ მიაქანებს. ერთი რამ შენიშნულია: რაც უფრო სუსტდება და უძღურდება აღნიშნული პარტიის ორგანიზმი, იმ-დენათ უფრო მკვებარა და ბაქი-ბუქის მოტრფია-ლე ხდება იგი. საკუთარი თავითა დი საკუთარ ფე-ხებზე სიარული არც ისე ადვილი საქმეა და იი გაიჩარხა პოლიტიკა.

ახლა ძნელია გადაჭრით თქმა რისიმე, მაგრამ თუ ეშმაკის სააგენტოს დაუჯერებთ, ის 3179 ხმა რომელიც ბლოკის სიამ მიიღო, ასე შეიძლება გა-ნაწილდეს.

- 1) უკრაინელები — — 3002
- 2) ნამდვილი ფედერ. — 153
- 3) თანამგრძობნი — 24

ს უ ლ 3179

ნამდვილი ფედერალისტები არიან აგრეთვე ნამდვილი პოლიტიკოსები, ვინაიდან მათ თავისი 123 ხმით გააპარეს საბჭოში 2 ქართველი ხმოსანი. ესენი სულ პარტიის ლიდერები არიან.

კოლო.

† გიორგი ზდანოვიჩი.

31 ავლის, ხანგრძლივ ავთაყოფობის შემდეგ ქუთაისში გარდაიცვალა ჩვენში და რუსეთშიც კარათა ცნობილი გიორგი ზდანოვიჩი, რუსეთი იცნობდა მას როგორც მეორემოდდათე წლის ერთ მძლავრ და ნიჭიერ რევოლიუციონერს. იმ ხანად რუსეთში მუშაობდა ორი სარევოლიუციო ჯგუფი — პეტროგრადში ჩაიკოვცების, სადაც ჩაიკოვსკის გარდა შედიოდა სოფიო პეროვსკიაი, დები კორნილოვები, ლიზოვუბი, კლემენსი, კრაპოტკინი და კრაჟინსკი (სტენაიაკი) მოსკოვში — ბაკუნინცების. ამ ჯგუფში იყვნენ — ბარდინო, დები სუბბოტინები, ლილია ფუნერი, ჯაბადარი, ციციანოვი, დები ლიუბატოვიჩები და გ. ფ. ზდანოვიჩი. ერთ დროს მოსკოვის ჯგუფმა აქტიური მოქმედება დაიწყო. ამ ჯგუფის რევოლიუციონერებმა დაარსეს მუშათა გაზეთი, „მომუშავე“, ზდანოვიჩს ყველა ყურადღებას აქცევს, როგორც ჰკვიან და საქმის ერთგულ ადამიანს.

1877 წელს მოსკოვის პროცესის დროს გიორგი გაასამართლეს თავის ამხანაგებთან ერთად კატორღა გადასწევრტეს. ამ პროცესმა მთელ რუსეთზე დრმა შთაბეჭდილება მოახდინა; მაშინდელი რეჟიმი სატუსალოგში და უმეტესთა კატორღაში ძნელი წარმოსადგენია. ზდანოვიჩი და მისი ამხანაგები აუტანელ ტანჯვა-წამებებს იტანდნენ ხარკოვის გუბერნიის პანენგის სატუსალოში. ისინი ცალ-ცალკე კამერებში ყავდათ დამწყვდეული და მარტო წყალსა და ჰურს აძლევდნენ. ამ ხანად ასეთ ჯალათურ რეჟიმის დროს ბევრი რევოლიუციონერი სატუსალოში ქლექით ავით გახდა და მოკვდა, ბევრი კჳუაზე შესცდა და ბევრმაც თავი მოიკლა.

გიორგი ზდანოვიჩმა და ზოგიერთმა მისმა ამხანაგებმა მედგრათ გადაიტანეს ეს ტანჯვა. ხალხის სიყარულით და მომავლის იმედით აღსავსე მათი ახალგაზდა, გული ვერ შეარყია თვითმპყრობლობის ჯალათების შექმნილმა ტანჯვა წამებამ და ისევე ისე ახალგაზდური გატაცებით და იმედებით აღსილიებმა დასტოვეს ჯოჯობეთური ციხის კარები. ციხიბირიდან ზდანოვიჩი კავკასიაში დაბრუნდა, ქუთაისში დასახლდა და ლეგალურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. ის სწერდა ქართულ ჟურნალ გაზეთებში „მია-

შვილი“-ს ფესვედონიით. ამჳყურდრუსის პრაქტიკულ მუშაობასაც მისდევდა. მან მუშაობის მეთოდების შეფუქვის მრეწველთა ყროლობის საბჭო“ სადაც ბოლოს ის აირჩიეს თავმჯდომარეთ. ამ თანამდებობაზე ყროს უკანასკნელ დროს, დაულალავათაც მუშაობდა სანამ უღმობელმა ავადმყოფობამ ის ლოგინათ აჩაგავდა და არ გამოასალმა წუთი სოფელს.

თუ კი მესმოცდა ათე წლების რევოლიუციონერები ლირსი არიან მოგონების და მით მოღვაწეობას რუსეთი აფასებს, გიორგი ზდანოვიჩს მათში სპატიო ადგილი ეკარება მუდამ.

ფ რ თ ი.

(არჩენებში).

ყოველი პარტია, ჯგუფი თუ პირები კლუბები, დარბაზნი, თუ ლობის ძირები — ყველა და ყოველგან ქადაგათ ამდგარა: ყრმა, ჯელი, მოხუცი მისი აღარ დამდგარა. ხალხს ვეღინებთან ყველანი მსხნელათა მტერსა და მოყვარეს გაარჩევთ ძნელითა. გუშინ რომ ჟანდარმებს უკმევეა გუნდრუქსა, დღეს „ესერთ“ ბანაკში განაგრძნობს ფუნდრუქსა. გუშინ რომ იღვწოდა იქ, პოლიციაში, დღეს ავერ სეირნობს „ესფერთა“ სიაში. გუშინ, რომ „ოხრანკას“ აძლევდა „ანგარიშს“ „ეროვნულ დემოკრატს“ ვერც სირცხვილს, ვერცა შიშს, ვერცა რა სიწითლეს ვერ ატყობს სახეში, თუმც მსხვერპლი მრავალი



გაუბამს მახეში.
 გუშინ რომ დროებით
 ქურდობა დატია,
 დღეს თუ მათ უჯგერით,
 ის „დემოკრატია“.
 ყველანი ფეხების
 ცერებზე დგებიან,
 უხმობენ ამრჩეველებს
 სადაც კი სწვდებიან.
 პირობას, ფიცს სდებენ
 „ჩვენ ვსჯობვართ ყველასო,
 სხვებიდან წუ ელით
 ხსნასა და შველასო“.
 მარა დღეს ყველა ეს
 არ მიჩანს ჩირათა,
 მე მხოლოდ ერთი რამ
 მაქვს გასაკვირათა:
 მუშებთან რა უნდა
 სოლომონ კოკუას?
 (პროგრამა იმისი
 ღორღონთიმ დოქუასს).
 —საწყალი მუშები,
 საბრალო გლეხები,
 ქვეითათ დაღიან,
 დაუცვლათ ფეხები.
 ტრამეის მოვაფენ
 მთელ არე მარესო,
 ეს რჩევა მუშებმა
 თუ მოიხმარესო.
 შავი ქვის მუშები
 ახრჩობა მურითო,
 ამ უსამართლობას
 ეუყურებ შურითო.
 აუგებ აბანოს,
 გაგირეცხო საცვალსო,
 დაენდევთ გარეშმა
 თქვენს მამინაცვალსო!
 —ღაღად ჰყო კოკუამ
 ეს „დემოკრატია“.
 (გაბედა, რადგანაც
 რინდი კაცია).
 მუშებთან საერთო
 რა ჰქონდა კოკუას?!
 ეშმაკმა წაიღოს.

„ღორღონთიმ დოქუასს
 საბრალო სოლომონ
 ხმალს იქნევს ყუითა!..
 მუშობა არ დადის
 კოკუას ქუითა.“


—
 მუშებმა იციან
 ნომერი პირველი,
 მათთან სხვა ვერ მივა
 „მლოცველი—მწირველი“.
 ნომერი პირველი
 მხსნელია მშრომელთა,
 მაშვრალთა აღდგომა
 ჰწადიათ რომელთა,
 ვინცა ხარო მუშების;
 გლეხების პარტია,
 რომელმაც რეჟიმი
 ძველი კი დატია,—
 პირველი ნომერი
 არჩენის ყუთისა
 თავდებით გიდებათ
 ბედნიერ წუთისა.

ბუტუნა.

ჩაენაპრაკიამ დამაქცია!

(გურული ხცენა).

— გამარჯობა შენი ნიკოიავ!
 — ღმერთმა გუშმარჯოს და კარქათ მიმყოფოს ჩემი გოგონს თავი, რას შობი ძმაო გოგონა, რაფა ხარ, პატარე ვერ მეთქვა სული?
 — ჩემი სულის თქვაი კაი შეილია! ბაღნები ქე წამართვეს ვაინში, ჰუდი ნალიაში გამომელია და შიმშილი სტორეთ კარზე მდგანა. ქვეყანაზე რომ ასეარე-დსვარიფა ამას შენც ქე ხედავ შენი კი თვალებით. რაცხა ამ რეულუციეს იმელი მქონდა, მარა რაფაც ვხედავ მაგის საქმეც გლახათაა. გუშხამ მიკო მიტრანგზე ვიყავი, გამევიდენ ცოციალისტები, შედგენ ტრიბუნაზე და მოყვენ ქვეყნის ამბებში. ერთმა იგიც კი თქვა, რომ თუ ქუით არ დაფრჩით თავისუფლებას გამიფეთხოვებითო, კონტრეულუციე დეიწყებო.



— ხო მართლა ძმთა გოგია მაგას მეც ქე წავასწარი ყური. თუ გმართლდა ბიჭო დევილუბუთ კეკალი კაცი იგია, გუშხამ ჩემი ბალანე იწერებოდა კომიტეტობა ვიშონე, ჯამაგირიც ბუური მაქ დამესტნიკის კანცელარიაში ისე ვიარებდი, როგორც შენს ჯარგვალაშიო. დეილუბა მაშინ ჩემი ბალანე და იგია.

— შენ ჩემო ნიკოია ბალანეს გეშინია, კომიტეტიო; აბა ძმთა ჩემი საქმე თლა მომსპარა და იგია. ჩემი ქალი კომიტეტის თავჯდომარეა.

— რას მიივი ბიჭო გოგია, რავე შენი ქალი, მართლა კომიტეტის თავჯდომარეა?— აბა ძმთა გუშხამ კრება ყოფილიყო და სულ ერბაშათ იერჩინე თურმე. მეც არ იეთხავ რომელი პარტიის ყოფილა? იმ შეჩვენებულმა პარტია კი არა რომ გეკითხა შენ ბაღებში სერგია უფროსი თუ კოლიგო, ერსაათს იფიქრებდა და ახლა თურმე ცოცხალ-რეულუციონერობს. თურმე იმ შეჩვენებულს უნდა ჩემი მამისისხლათ გაშენებული ბაღი ქვეყანას გუუნაწილოს. იმას უნდა ქონდეს ვისაც მუშაობა შეუძლიაო და თუ ასე პავლიე და ისაონე თლა გადააბრუნებს ქვეყანას. დევილუბე კაცი და იგია. ჩემი ნაკეტავ-ნაწყუბავი მიწა პავლია უხეფსუს უნდა ჩაუვარდეს ხელში?

— არა ძმთა ნიკოია, ახლა თვარ უშველეოთ ქალებს დეილუბა საქმე იცოდ. წვიდენ ხელიდან და იგია. ვის ახსოვს ქმარი და ბალანე, სულ კრებაზე დაძუგვენ. დოუსტავლიენ ერთი პასუხი და სულ იმას იძახიენ: ძირს კაცები, მაღლა ქალებიო. კი დაგეპართოს მარა თუ დიდხანს დარჩა ასე ხომ მომსპო და ვამათავა. მაღლობა დმერთს, თურმე ყორიფელს მიესრება კაცი. სულ იმას იძახიენ: გუუმარჯოს ქალების თანსტროობასო; მარა თანსტროობას ვინ ჩივა რომ თლა არ გამსრესდეს.

— პა! პა! პა! არ ვიცი ძმთა ნიკოია მართლაც ისე ვიშუნე თავი რომ აფერს არ გაეს. დღეი ერთია და სამჯერ იარებიენ კრებაზე. გუშხამ უფრჩევიენ ჩემი ქალი თავჯდომარეთ, დოუსტინენ ტაში როგორც გინახავს კობი; შეშინებულა პელაგე და მას მერე ჰკუბუნე არაა.

გუშხამ შავგულ ძილში იყო ერთი იმფერი რუკული წრიხა კი მარტყა, რომ შით დადარაში გამავდენია ბრევვა დევიქეტი კვალი კაცი, ცხრაას ექვ-

სში რეაქციამ დამაქციო და ახლა გონი რეულუციონერი მისირობს თლა მომსპარა. ჩემი შინაგანა მარა რა ქალი.

გუშხამ გევიხედე ყანოდან შოვლირაკუნობ, საცხა ორი ძირი ტყეი გუფხამე, დოუსტინენ კრება და არის ერთი ასვარიე-დასვარიე ჩემი ქალის თავჯდომერეობით. აბა შენია სიტყვა; აბა ჩემია— იძახიენ ასათიანის ბაღებსავით. ბოლოს ეილო სიტყვა ფიტამ და მისდგა ალათის: შენ ამფერო, შენ იმფერო, შენ ფრახო, და ვინ იცის კიდევ რა არ უძახა. უკურე, უყურე, მერე ვეღარ გოუძელ ივინის ლაპარაკს და წავებლაქუნდი სახში. აბა ხეფსი ვის და ხედებოდა ძმთა შენც კი იცი.

არა ძმთა ნიკოია არც ისევე შტერი და ჩობანო ყაძახი ვარ, ზოგიერთს რომ გონია; მართალია ბევრი აფერი შისტავლია, გოგიე აბუსერძის კლასი ძველი გავათავე, მარა თუ ტრაბახობათ არ ჩამთვლით ზოგიერთ ნასტავლებს არ ჩამოვჩები; ბუნებით ნამდვილი ცოცხალ-დემოკრატი ვარ, მარა ამ ქალების რაენო პრავიე კი არ მომწონს და სხვა შენ იცი.

არა ბიჭო გოგია! იგი ჩვენი ქალებია ასე თვარა ქალაქში სულ ნასტავლი და ჰქუიანი ქალებია...

— პა, პა, პა, პა! არ მოვატყუოს ვინმეშ, იქინეც ქე ვყოფილვარ, მართალია იქანე ნასტავლი ქალები სულ ბუერია, მარა იგი სტავლა მარტო იმაში სჭირია ვინცხა ვადარიოს. ქე ვიცი ივენის სეკრეტში ქე მიყურებია ძამია ქალაქშიც. ერთი გევიხედე და კონკაში ჩაფრენია ვინცხა ქალი ყაზახს. ვიფიქრე აქა საცხა სიყვარულ უხსნის მეთქინ; თურმე ძირს უნდა ჩამეითროს, შენ რავე შენსარი კონკაშიო. მერე იმისანე კი იყო იგი შეჩვენებული რომე, ხომ კია ქალია ჩემი პელაგეი, მარა იმასანე ნი პრიფ. აბა მუშტაილში რომ შობიენ იგი ჩემმა ტერმა თქვა.

იქანე კრებაზეც ქე მიყურებია. რომ მოაწყობენ სომხის გიტარასავით მიდიენ და მიდიენ თხარით, არც სიტყვის ნებას თხოულობენ და არც საქმისას.

ახლა ვინცხამ იგიც კი თქვა რომ იგი რაცხა დამუქნებელი კრებაა იმავე ქალებიც უნდა გუშუშათო. დევიქეტიო და იგია. ჩემი ქალი თუ გუ-



უშუეს იქინე ყველაზე უწინ იყირებს: გოგის მიწა ჩამოართვიდ და ქვეყანას დღურიგოთო.

თუ დმირთი არ აღირსებს თვარა დვეიღუპეო კეკალი კაცი და იგია.

გურული ბიჭი.



ფოთი.

(ბუტუნას სააგენტო).

სარჩენო კომპანიაში მონაწილეობას იღებს: 5000 ამოპრჩეველი, 5 პარტია, 1 უპარტია, 2 ადგილობრივი ქართული ვაჭეთი, (მოსალოდნელია კიდევ 3 ვაჭეთი), 6500 აკტიატორი, 606 ვაჭეთის დამტარებელი ქალი, 3 მთვრალი პროვოკატორი, (მეგრელ-გურულ ნაციათა შორის და რამდენიმე ყოფილი ოხრანიკი).

მოსალოდნელია დიდი ჯახი და მკიერ შედეგი გარდა № 1 სა.

თურნალ-ვაჭეთების კიოსკს მოადგა დსარბევიდ ქართველი „რეზონიორები“. ბრძოლაჲ სათნახევიარს გასტანა. კიოსკი ჯერ უვენებლთ გადაარჩა. მიღებულია ზომები წესიერების აღსადგენად. დარბევის მიზანი სოკ. დემოკრატობა აღმოჩნდა.

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში უკანასკნელ სხდომაზე უკანასკნელი „სპორტი“ გაიმართა. „სპორტსმენები“ — სა — შვილი და ლ — ვა ღორ და ღორ*) დარჩნენ.

*) ღორ და ღორ „ჯათნურად“ ჭიდაობაში თანსწრობას ნიშნეს.

ღანჩხუთიდან ცნობა მიიღეს, რომ მათლის-მცემლის ახალ სამკითხველოს გაშვებაში დაღებში კიდაობა ვაუშარათავს სამკითხველოს მატერიალურად მოლონიერების მიზნით. კიდაობა სამკითხველოს შენობის წინ მომხდარა. მოკიდავეთ გამოსულან გამგეობის წევრები: სულიერი მოძღვარი მამა ხომერიკი და ხორციელი მოწაფე მისი ს. ცინცაძე. სეკუნდატებთ დასწრებიან მოქალაქენი სირია ურუშიაძე და ბათლომე გვარჯალაძე. კიდაობა აზიურ კაიდაზე მომხდარა. გამარჯვება პირველთა მამა ხომერიკს ხლომა წილად, მარა, ბოლოს და ბოლოს ცინცაძეს მოძღვრის გრძელი თმა უხელთება და მოგვერდის უქნია სულიერი მამიზა რომელიც ყირაზე გადაუტანია ცინცაძეს. კიდაობას მაყურებლები სკამათ დასწრებიან, ხოლო შემოსავალი კი მოძღვრის ერთი მუჭა თმა და ცინცაძის პერანგის საკინე დარჩენილა.

იქიდანვე. კოკპერატორ გიორგაძის გასამართლების გამო დიდ მწუხარებას განიცდიან კოკპერატორის აშხანაგობა, რადგან ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს გიორგაძე „მართლად“ უცენია და საპატიო ადგილი მიუცია საგ. კავშირში, მარა ღანჩხუთელების „უშწყო“ მდგომარებაში თვითონ გიორგაძე შესულა და საგუბერ. კავშირიდან გამოსულა თანაც ვაჭეთშიც ჩაუგდია ეს ამბავი და აცხადებს („ს. დე-ტი“ 30 V/II) „ცილის მწამებელ კომისიას შავ დღეს დავაყენებო“ აღბათ გიორგაძე კულაშელი ებრაელის და მიქელაძის „ცნობილ კანონით“ იხელმძღვანელებს.

იქიდანვე. რკინის გზის სადგურზე მისავალს, დასავლეთით მხრიდან, ადგილობრივ სადგურის უფროსს მოუწყვია „ოდე-კოლონის“ ზაოდი, სადაც მგზავრები „იშვიათ“ სურნელებით სტუბებიან ბაქანზე სეირნობის დროს. ამ ადგილზე თურმე უწინ „ოტერქლოუზი“ იყო და ეხლა „პროგრესის“ ძალით ასეთი წინ სვლა მომხდარა, რაც ხსენებულ სადგურის უფროსს უნდა დაემაძღლო.





ემშაკი პრეზიდენსიაში

მოგზაურობა, როგორც ასეთი

ამ მუხლში მინდა შევეხო მოგზაურობას, როგორც ასეთს.

უპირველეს ყოვლისა სიტყვა — „როგორც ასეთი“, უნდა გაიგოთ სხვა-გვარ და არა თითქო ისე, როგორაც მე ვიმოგზაურებ.

ქართველი კაცის ბუნებაში ისე მკიდროთ და ღრმად არის ჩამჯდარი სიყვარული მოგზაურობისადმი, როგორც სიყვარული საზოგადოთ ყოველ გვარ საქმიანობისადმი. მე უტყუარი ცნობებით შემიძლია დავამტკიცო, რომ არ იქნება არც ერთი ჩვენი წარჩინებული მ. დღაწე, რომელსაც მცხეთა არ ენახოს; თუნდაც მატარებლის ფანჯრიდან. ჰჯვრს მთავანს უნახავს ქ. გორიც და ზაფხულობით სურამ-მორჯომშიაც შეუვლია. ერთი სიტყვით, მოგზაურობა, ეს ქართველი მოღვაწის თანდაყოლილი თვისებაა და აღბათ ამით აიხსნება სი მრავლე ჩვენი სამშობლოს აწერილობათა, მისი რუქებისა და მხატვრული გამოცემების სიმრავლე და სიმშვენიერე.

მეც, როგორც ქართველს, მუდამ ერთი მოუშორებელი აზრი მიტრიალებდა თავში: როგორმე მოგზაური გავმხდარიყავი და ამ დარგში მიინც თავი მესახელებია. მე როცა ცხადში იმდენი მემოგზაურა, რამდენსაც სიზმარში ვიდოდი, მიზანი ჩემი მოღწეული იქნებოდა. მაგრამ გამოირკვა, რომ სიზმარში მოგზაურობა გაცილებით უფრო ადვილი მოსახერხებელია, უფრო ნაკლებ დროსა და ხარჯს თხოულობს; ვიდრე ცხადღე მოგზაურობა, ამ გარემოებამ ერთობ მწარტე ჩამაფიქრა და სასოწარკვეთილებაში ჩამავლო.

ბლოკი აკაკი ჩხენკელთან.

ყველაფერს ბოლო აქვს ამ წუთისსოფელში (გარდა თედო ლლონტის წერილებისა) და აი ჩემს ყოყმანსა და უიშედობას ბოლო მოვლო, ჩემს თანმშრომლებს მე ჯოხზე გადამჯდარი მოგზაურობ ჰგონიათ და მისაყვედურებენ რისთვის არ ვეწვევი ხოლმე ამა-თუ იმ სოფელს, ამა თუ იმ ხულიგანის გასასწორებლათ. ეს შეცდომაა. იყო დრო, როცა ჯოხზე გადამჯდარი დავნაფარდობდი ჩემს ეზოში, (როგორც ახლა ფედერალისტები შევებიან საქართველოში) მაგრამ მას შემდეგ ერთობ დიდი ხანია.

ახლა მე სულ სხვა ხერხს მივმართე. ბლოკი შეგვარ ამ. აკაკი ჩხენკელთან. ჩვენ პირობა დავსდეთ ერთად ვიმოგზაუროთ, ხოლო მოგზაურობის დროს გავინაწილოთ ფუტკიები ამ გვართ.

ა) აკაკი ჩხენკელი, როგორც წარმომადგენელი დროებითი მთავრობისა, ვალდებულია მართოს კრებები, სიტყვები წარმოსთქვას აღნიშნულ კრებებზე; მიიღოს სხვა და სხვა დაწესებულებათა დღეგაკითხვები, მიიღოს მთხოვნალები და პასუხი გასცეს მათ; მოარიგოს რევოლიუციონურ ორგანიზაციათა და უბრალო მომაკვდავთ შორის ჩამოვარდნილ უთანხმოება; მიიღოს ღონის ძიებანი სამეზაურო საშუალებათა გამოჩახვის შესახებ და მოახდინოს გარკვეულებანი ამ მხრივ.

ბ) ჩემს მოვალეობას შეადგენს არცერთ ზემოხსენებულ საკითხთა გადაჭრაში არ ჩავერიო.

პირველ მოგზაურობაზე, რომლის შესახებაც მე მსურს ქვემოთე თქვენთან ლაპარაკი, ჩვენ კონფლიქტი არ მოგვსვლია, (იმედია არც მომავალში მოგვივა) ვინაიდან ორივე მხარე პირნათლად ასრულებდა თავის წმინდა მოვალეობას.

მე თუ ჩავერევი მის საქმეში ეგ მხოლოდ მხოლოდ სადილის დროს და აქაც ანსამზღს ვიცამ



თფილისი—ბათუმი—გაგრა—გუდაუთი.

ზემორე ამისა მოთავსებული რუკა, როგორც თვით წარწერა მისი აღნიშნავს, წარმოადგენს საერთო მოხაზულობას ჩემი მოგზაურობისას. ისრები, რომლებიც ჩამწკრივებულია გზათა მოხაზულობის დასწვრივ, გუჩვენებს ჩემს მიდრეკილებას.

ამ გვიართ, ხუთშაბათ სიღამოს, მატარებლით (ჩემი მტერი ატარა იმანი) გავემართეთ დასავლეთისაკენ. მანძილი თფილისსა და ბათუმს შორის უკვე არა ერთხელა და ორჯერ აღმინუსხავს ჩვენი მკითხველებსათვის. ახლა მას აღარ შევხვები. ესეც არ იყო ბათუმამდე თითქმის მეძინა, ხოლო ბათუმში კვლავ ძველებური სცენა განმეორდა: საღვურზე შეგვეგება ნაცნობ-მეგობართა ჯგუფი და გაიშარათა მუსიკით მომენტის შესახებ.


მე რასაკვირველია არ გამოვსულვარ მოვალეობათა ჩემთა ფარგლებიდან და მხოლოდ ვუსმენდი სხვათა ლაპარაკს.

ბათუმის მილიციის უფროსმა. (რომლის სიმპატური სახის მარჯვენა მხარეს აქ, თქვენს, წინაშე ვარდგენ მარჯვენა ულვაშითურთ მოხსენება

უბოძა აკაცი ჩხენკელს ადვილობრივ საქმეთა შესახებ.



მთელი დღე ბათუმში დავჩიბთ. ვისარგებლეთ ამით და ვინახულეთ ქოროხის ახალი (დაუმთავრებელი) ხიდი ლიბანის გზაზე და შემდეგ ძველის ძველი ციხე ქოროხის ვალზე მხრისა. ციხე „შესანიშნავათ“ არის მოვლილი, ვინაიდან მას ბათუმის სამეურნეო საზოგადოება დაპატრონებია, ხოლო რას ნიშნავს სამეურნეო საზოგადოების პატრონობა, ეს ყველა თფილისელისათვის ცხადია.



სალამოს ათ საათზე ბათუმიდან ჩვენ ზღვაში შევეცურდით და „დავწყვიტა“ ჩრდილო დასავლეთი-საქენ.

წაღმოსანი, რომელმაც თავის გამურულ ზუ-რგზე შეიხიზნა ჩვენი ჯგუფი, სახელად ერთობ „სასტიკ“ რასმე აღარებს. ზღვაზე ფურთქლი იყო, პატარა რკინის ვარცხლი ნაფოტივით ქანაობდა მის ტალღებზე. ზღვა, ეს ჩემი სტიქიაა: მიყვარს იგი მღელვარე და მრისხანე, როცა ნაპირის ქვაზე ვსიყვარ, ხოლო მიყვარს წყნარი და მღელვარე, რო-ცა გემზე ვიმყოფები. თუ არა ვცდები ამხანაგი აკაკი სავსებით იზიარებს ჩემს შეხედულებას ზღვა-თა შესახებ.

მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მეზღვაურნი ერთობ გულზეხილნი და იმეფნი არიან. მათი აზ-რით ზღვაოსნობა მხოლოდ მეზღვაურმა იცის და ატრონომს, გინდ იუმორისტს, უკეთ ვსთქვამთ ერის-კაცს, მისი არაფერი გაეგება. ამას ივინი მართალია აშკარათ არ ამბობენ, მაგრამ მათ სახეზე დაუკვირ-ვებელი თვალიც ამოიკითხავს პროფესიონალურ ამ-პარტავენობას. ამიტომ გადავწყვიტე პირველ შე-შეხვევისთანავე განმეფანტა მათი ილიუზიები და დავუწყე მუსაფი.

— თქვენი გემი მხოლოდ ზღვათა ფარგლებ-ში ცურაობს, ხმელეთი მას არ ეხერხება. წარმო-ვისთქვი მე და მეზღვაურის სახეზე შურის ღიმილმა გაიბრინა.

— რასაკვირველია.

— და ეს იმიტომ, რომ რკინის გზა არ არის მისთვის მოხერხებული. ჩემის აზრით აშკარაა წყა-ლი აბრკოლებს მის მოძრაობას, ვინაიდან წინ ეღობება მას როგორც მასსა.

— დიხ, აბრკოლებს.

— ამ დაბრკოლებას სძლევეს ორთქლის ძალა. ახირებული წინამდღევობაა: წყალი აბრკოლებს, წყალივე სძლევეს დაბრკოლებას.

— ეგ როგორ?

— სრულიად უზრალოთ. თქვენ უნდა იცო-დეთ, რომ ორთქლი იგივე გამძნარი წყალია.

თითველი ჩემი სიტყვა მძიმე ჩაქუჩივით მცე-მოდა მეზღვაურის თავმოყვარეობას და ამსხვრევ-და მას.

— თუ არ საჭე, თქვენ რასაკვირველია არ

შეგეძლოთ გემისათვის ამა თუ იმ მიმართულები მიცემა.

— დიხ, საჭეს სწორეთ ასეთი დანიშნულება აქვს,

— ზაფხულში აღბათ სიცხე გაწუხებთ და ზა-მთარში სიცოფე.

— ტექმარიტი ბრძანებაა.

კიდევ ორიოდ მოსწრებული წინადადება და მეზღვაური თავაზიანი ბოღნივით მომშორდა. რალაც საქმე მოიმიზება, მაგრამ მე ნათლად შევნიშნე მის სახეს უქაყაფილების ნიშნები. ასე შურიანი ადა-მიანი! მას თითონ უნდა ვველაფერის მცოდნე და ყველაზე უკეთესი იყოს, ხოლო თუ შეეკამათე და აჯობე ეს ჯავრით სკდება.

გ ა მ რ ა .

15 ივლისს, დილის 8 საათზე ჩვენი გემი სა-მოთხის ნაპირს მიდგა. ამ საშოთხეს ადგილობრი-ვი მცხოვრებნი ვაგრახ ეძახიან. რამოდენიმე მა-ლაღსა და მწვანით შემოსილ მთას არხვინათ მოუ-კეცია ფეხები ანკარა ზღვის ნაპირას და ღიმილით ცქტირებთან მის გულში. მათი ვიწრო კალთა, რო-გორც ფერადი აბრეშუმის ფართალი მოუქარავას ათას გავრ უცხოთა და ჩვენებურ ყვავილებს, რო-მელთა ზელოვნური შეჯგუფება საოცნებოთ ეთანხ-მება თვით ბუნების ხელით ნამოქმედარს.

კმარა ეს ვაგრის გარეგნობაზე. ვაიგეს რა ჩვენი (ჩემი და აკაკის) მისვლა, ხალხმა თავი მოი-ყარა და დეპუტატის ირგვლივ მრავალრიცხოვანი წრე გაკეთდა. რასაკვირველია წარმოითქვა სიტყვა და გვისმა „ურა“.

(არ მაქვს უფლება დავმელო, რომ რუსის ხალხისა მე ყველაზე უფრო მომწონს „ურა“.)

ავედი მთის ძირით, ფერდობზე გაშენებულ შეგნიერ სასტუმროში. ათასი ჯურის ხალხი, ათა-სი ჯურის ლაპარაკი. ყავის დაღვევაც ვერ მოვას-წარით, რომ „აღმასრულებელი კომიტეტი“ უკვე შეკრებილ იყო და ამხანაგი აკაკი იმათთან სასაუბ-როთ გაემართა.


მე აქ პირველათ შევნიშნე და ვავიციანი ამ



ვინაიდან ყოველგვარ მოლაპარაკების დროს მათ წარმომაღვენელობას ეწოდებოდა. უმთავრეს საჭირობოტოტო საჭიროებას გავრისათვის, როგორც სხვა ზღვის პირა ქალაქებისათვის, შეადგენს საკითხი „შავი ზღვის პირის რკინის გზისა“.

ამ გზის დამთავრებას ისე მოეღის ყოველი მოქალაქე შავი ზღვის სანაპიროებისა, როგორც შაქარსა და პურს რიგის კულში მდგომი. იქიდან მოეღის იგი ყოველგვარ ბედნიერებას, ყოველნაირ სურსათს, სანოვაგეს, მიმოსვლის გაადვილებას, მაგრამ გზის შენების საქმე ერთობ კოკლობს. მიზეზი ამისი არა ერთი და ორია. ყველა მათგანის აქ გარკვევა რასაკვირველია შეუძლებლათ მიგვაჩნია, მაგრამ რამდენადაც აღნიშნულ გზას საჩვენო ინტერესებიცა აქვს, იმდენათ უნდა შევეხოთ მის.


ხანაგი, ახლად ციმბირიდან დაბრუნებული. ის ძლიერ გავლენიანი უნდა იყოს მუშათა შორის



აი ეს სურათი, რომელიც შემთხვევით ხელთ ჩამივარდა გავრაში ყოფნის დროს, თითქმის სრულად გამოსთქვამს სამშენებლო საქმეთა სირთულეს. ამ სურათმა ჩვენ მით უფრო დაგვანტერესა, რომ მის ცენტრალურ ფიგურას, ე. ი. როგორც რუსები იტყვიან, მის „პირველ სკრიპკას“ წარმოადგენს ძვირფასი ამხანაგი და ჩვენი ძველი თანამშრომელი, აწ კომისარი სავანგებო აპიერ კავკასიის კომისარატისა ბენია ჩიბიკიშვილი.

ჩვეულებრივ მკითხველთათვის ერთობ ძნელი გასაგებია შინაარსი ზემოთ აღნიშნული სურათისა, მაგრამ აქ, შავი ზღვის პირის რკინის გზაზე გარდს ტყუე ავსტრელებისა თითქმის ყველა ვაიგებს მიაღიად მნიშვნელობას.

სხვათა შორის რკინის გზის შენებას ნებისთ, თუ უნებლიეთ ამრკოლებდა ეგრეთ წოდებული „ფრანგთა საზოგადოება“, რომელსაც აღებული ჰქონია რამოდენიმე გვირაბის გაჭრა, დროა ისეთი,



რომ ყველა ჯამაგირის მომატებას თხოულობს და ინიტენერი კახანოვი, (თუ არა ვსტდები წარმომადგენელი ფრანგთა საზოგადოებისა) თხოულობს ფასის 300% ვაღიღებას. ამაზე არ თანხმდება რკინის გზის წარმომადგენელი ინიტენერი, (გვარი და-




მაიწყდა). და მოითხოვს ფრანგებისაგან საქმის ჩამორთმევას. უკანასკნელი ინიტენერის მხარს იჭერს შრომის კომისარი ბენიაშენ ჩხიკიშვილი. ამასვე მოითხოვს ქაობატონი „გზის ინტერესი“ც. ამიტომ საქმე სწყდება მათ სასარგებლოთ: ფრანგებს ჩამოერთვა იჯარა, რომელიც გადაეცემ უფრო მოსაქმე მოიჯარადრეს.

შემდგომად ამისა გაიმართა მუშათა მიტინგი, რომელზედაც აკაკი ჩხენკელმა ვრცელი სიტყვა წარმოასთქვა: ხალხმა ის ხელით მოიყვანა და ჩამოსვა ეტლში, რომლის დროს კინაღამ ფეხი ატკინეს. მიტინგიდან ჩვენ „მუშათა და ჯარისკაცთა“ საბჭოს სხდომაზე მივიწვიეს. აქაც ხანგრძლივი მუსაიფი შეხვდა აკაკი ჩხენკელს.

დაახლოებით ნაშუადღევს ორი საათი იქნებოდა, როცა ჩვენ გაგრიდან ახალ გაგრაში გამოვემგზავრეთ. აქ უკვე საერთო საქმე გვექონდა გადასაწყვეტი, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნე სადილის საქმეში მეც ვიღებ ხოლმე მხურვალე მონაწილეობას. მეტადრე აქ ბნმა შენგვლიმ ისეთი საკითხები დაგვახვედრა გადასაწყვეტი, რომელიც მთელი ჩვენი ენერჯის მობილიზაციას მოითხოვდა.

წარმოითქვა რამდენიმე მგრძნობიარე სადღეგრძელო, (მათ შორის მეორე მე შეგებებოდა) რომლებშიაც გაშუქებულ იქნა ამა თუ იმ მოღვაწეთა მნიშვნელობა. სიმორცხვე ნებას არ მაძლევს გავიფორო აქ ყოველივე ის, რაიც მოღვაწეობისა ჩემის შესახებ ნაღიშზე წარმოითქვა. ან კი რა მეჩქარება, მოკვდები და ათასჯერ მეტს იტყვიან.

ნაშუადღევს გავემგზავრეთ ახალი გაგრიდან გულაუთისაკენ. რომ მკითხველისათვის ვასაგები დარჩეს არე ჩემი მოგზაურობისა, უმოჩილესად ვსთხოვ გადახედოს ქვემოთ ამისა მოთავსებულ რუქის.



შვენიერი საეტლე გზა თითქმის გვერდით მი-
სდევს სარკინის გზო ლიანდავს. ირგვლივ მწვანე,
ტროპიკული მცენარეებით შემოსილი ბაღები და
მშვენიერი მთები.

მდინარე ბზიბი, ეს უდიდესი მდინარეა ამ
რაიონისა, დღეს დღეობით იგი საზღვრავს ახალ-
შობილ ვაგროს ოლქს სოხუმის ოლქისაგან. მდინარე
რის პირად გაშენებულია კარგა მოზრდილი სოფე-
ლი კალდახვარა. აქედან გზა მთიან ადგილებში
აღის გადაივლის სოფელ ბირშიშხე, ჩუბურხვანზე,
ზვანდრიკაზე და შედის დიდ სოფელ ლიხნში.
გზა და გზა ჩვენი ყურადღება მიიპყრო წვრილ-
ფოთლოვან პურეულმა მცენარემ. ის უხვად იყო-
ნათესი გზის ორივე მხარეზე მე. როგორც აგრო-
ნომი, საგონებელში ჩამავლო ამ უცხო მცენარემ.
ის ძლიერ ჩამოჰგავდა სიმინდს, მაგრამ სრულიად
არა ჰგავდა მას. გამოირკვა რომ წინა დღით ჩა-
მოველო სეტყვას და მშვენიერი ყანები სიმინდისა
ესე უცნაურათ გადაესხვაფერებია. დეპუტატი ჩენ-
კელი ერთობ დააღონა ამ გარემოებამ, თუმცა სა-
სიხარულოდ არც მე დამჩინია.

სოფ. ლიხნი დიდი და მდიდარი უნდა იყოს.
განსაკუთრებული ყურადღება ჩემი აკავიმ ლიხნის
მონასტერს მიაპყრო. მართლა მშვენიერ ალღავს
არის იგი აშენებული. ლიხნი გულდაუთის შესავა-
ლია. ამგვარათ საღამო ხანს ჩვენ უკვე გულდაუთში
ვიყავით, სადაც სასტუმრო „რუსეთს“ შევჩინებთ.

გულდაუთი კარგა მოზრდილი და ლამაზი დაბა-
ყოფილა, რომელმაც ამ რევოლიუციის დროს მი-
იღო აღმატება და ქალაქის საფეხურზე შედგა.
ჩვენ უკვე დაგვიხვდა გაკიდული საარჩევნო რეკ-
ლამები, რომლებიც მოუწოდებდნენ მოქალაქეთ
ნების სოციალ დემოკრატიისთვის მიცემას.

სასტუმროს წინ გაიმართა მრავალრიცხოვანი
კრება, მაშალეებით ხელში, რომელსაც აკავი ჩვენ-
კელმა ვრცელი სიტყვით მიმართა. მიტინგიდან ხა-
ლხი „თავისუფლების გოდუნისაკენ“ გაემართა, სა-
დაც წარმოითქვა საარჩევნო სიტყვები.

აკავის წარუდგა უზნის კომისარი ამხ. ლაკობა



რომლის სურათის გადაღება ვერას გზით ვერ მო-
ვახერხებ, სიმნელისა და სიმნელის ვაშო. როგორც
გადმომცეს უზნის შავ ძაღვებს მისი მიზნებით ციება
აღარ შეეცურებთ ისე ჰყალიბა დაშინებული. თავის
თავად ის საშიშარს თითქმის არათვინს არ წარმო-
ადგენს მეორე დღით (ღამე არ მინდა გავიხსენო,
ვინაიდან სასტუმროში თავგმა ფესხაკელები და-
მიხრა) მიმოვიარე ქალაქში; დაეთვლიერე ბალი
და ზღვის პირები. ამ ჩვენკელი კი ცვლავ ემუხაი-
ფებოდა სხვა და სხვა დებუტაციებს.

დილის 11 საათი იქნებოდა, როცა დავუტო-
ვეთ ბენდინიერი გულდაუთი და სოხუმისაკენ გამოე-
მართეთ.

(შემდეგ ალექსიწარს) ეშმაკი.

ფედერალისტების „სარევი-ლიუციო“ კლუბი.

წინა კვირას სხვა და სხვა „საენციკლო“ მონ-დობილობით ლენჩუში მოგზაურობა მომიხდა. ერ-თი ღამე დ. ლაილაში გავათყე. საღამო უკმა იყო. პაზარი ხალხით გაქედლილი. აქა-იქ შეეგუფული წრეები რაღაცაზე ცხარეთ კამათობდნენ.

— მებრალეებით, მძანო და თანამემამულე გლენხო, — უხსნიდა შეგვეგრემანი ორატორი იქ მდგომთ, — რომ თქვენ ვერ გავგიცათ სოც. დემო-კრატების ვერაგობა: იმათ თქვენი გალატაცება უნ-დათ, ისინი საშობლოს მტრები არიან.

— მერე რა ღმერთი გაუწყრათ, ბიძია, რომ თორმეტი წლის განმავლობაში ერთი გოდებიც ვერ გაალატავს! შენ ეს მითხარი, შენი პარტია ამლი-რებს გლენხებს! — შეეპასუხა იქ მდგომი ხანში შესუ-ლი გლენი.

— დიახ, მამულის შევილო, ამლიდრებს! მთე-ლი მიწა მშრომელი ხალხის ხელში უნდა გადავი-დნეს, მიწაზე საკუთრება უნდა მოისპოს და ვისაც რამდენი უნდა, იმდენი უნდა დაამუშაოს, სადაც უნდა და როგორც უნდა.

— შე დალოცვილო, — ჩიერია მეორე გლენი: ორი ნაჭერი ვენახი ვაი-უბელოებით გამიკეთებია, აქედან ველი აშენებას და შენ მეუბნები მიწაზე საკუთრება უნდა მოისპოსო და სადაც გინდა, რამ-დენიც გინდა, იმდენი მიწა გექნებაო. აი, ეს არის მართლაც მატყუარობა. (შეიქნა ჩოჩქალი. ხმები ისმის: „არ გვინდა ასეთი პარტია, მოგვეშორდით თავიდანო“ და სხვ.).

მე ამ ჯგუფს გაგვიორდი და მეორე ჯგუფის კამათს მივატყე ყურადღება.

— ნახავთ თქვენს თვალის სეირს, რომ სოც.-დემოკრატები ყველას გვაღატაკებენ და მაშინ ვა-გახსენდებთ ფედერალისტების „სარევილიუციო“ პარტია, მაგრამ მაშინ გვიან იქნება, — ნიშნებებით ლაპარაკობდა მეორე ჯგუფში მდგომი ქერა სტუ-დენტი.

— აი, როცა სოც.-დემოკრატები გავალატა-კებენ, — შეეკამათა ერთი გლენთავანი, — მაშინ თქვენ-

თან მოვალთ და თქვენ გავალატავთ! (ასტყდები საერთო სიცილი).

— დედა არ მომიკდეს თქვენ არაფერში შე-საბრალოსი არ იყოთ... თქვენ უგუნურები ხართ...

— გაწყრა ქერა სტუდენტი.

— სწორეთ ასე გვეუბნებოდნენ, ყმაწვილო, თქვენი წინაპრები: „თქვენ არაფერში დასაზოგავი არა ხართო“. ნუ თუ იმათაც ეცებრალეობდით? მარ-თლაც უგუნურები ვართ, რომ თქვენ ყურს გიგ-დებთ! — შენიშნა მეორე გლენმა.

— რა უ-უყყყოთ მერტრე! — წაეჭომაგა ქერა სტუდენტს ელაში სტუდენტი, — იმათ იისი დრტრო ქორილათ და ჩვევენ კიბი სტუდენტეები ვართო, განაათლებულულო...

— რას ეჩინებთ ამათ, ამხანაგებო, წაი-დეთ ჩვენს „სარევილიუციო“ კლუბში, გვიციანს, — გააწყვეტინა სიტყვა ათექსანდრე.

ისმის ხმები: „სარევილიუციო“ კლუბში წა-დით, თორემ მუშებით გაქედლილი არ დაგხდეთ! ასტყდება სიცილ-ხარხარი. ცოტა ხნის შემდეგ შე-ბინდა, ხალხი წავიდ წამოვიდა.

მე ჩემს ნაცნოს ვსთხოვე ესწავლებინა ფე-დერალისტთა, „სარევილიუციო“ კლუბის ბინა. ამხანაგმა მალე ამისრულა თხოვნა. კლუბი მართ-ლაც მშვენიერი აღმოჩნდა. იგი განათებული იყო „შორიდანვე შემომესმა მზიარული სიცილ-კასკის-აივანში ავედი და გადებულ ფანჯარას მიუჯექი, საიდანაც ყველაფერს კარგათ ვხედავდი და ვისმენ-დი. ფედერალისტების კლუბი მართლაც „სარევი-ლიუციო“ აღმოჩნდა. მზიარულათ საუბრობდნენ ხუთიოდ სტუდენტი, ხუთიოდ მასწავლებელი, ხუ-თიოდ ჯერ კიდევ გადაუქენებელი „აკარდონსტი“, ხუთიოდ მოძღვარი, ხუთიოდ ფოფონია, ოცდა-ხუთიოდ ბარი“ ნა-ბანოვან-მანდილონები, ერთი-ოდ ათექსანდრე, ერთიოდვე გრიშა და, კარგათ არ მახსოვს, მეორე ხუთიოდე ორ-სკამზე მჯდომი ყალ-თბანდი მიკიტან-ვაქარი. ვილაცამ ნაზის ხმით დი-წყკრიალა: „შორის გზიდან სატრფოს ველი“, შო-რიდან მოისმა მძლავრი სიმღერა ახალგაზრდებისა: „ხურავ ვაქციოთ ძველ იდათ წესებს“... „სარე-ვილიუციო“ კლუბი თითქან შეკრათა.

— ვაგისმათ თავები, რაგა ბლავიან! ფუ-ოჩენ нужна! — უკმაყოფილოთ წამოიძახა ცაქუ-ნიამ.

— კვლავ წინანდებურათ აიშვეს თავი და მრწამსს, წინანდებურათვე დამარცხდებიან... ბრბო!
— დამატა ერთმა ბანოვანმა.

— Терпѣт не могу, კუკლიკა არ მომიკვდეს რა ხალხია?—მოუთმენლათ წარმოსთქვა მარუსიაში,—მე ჩემი ქვეყანა მიყვარს, ჩემი ქვეყანა მრწამსს, ჩემი ქვეყნისათვის ვიბრძვი, ჩემი, ჩემი...

— კაი, ქალო, ნუ გაღირვევი, ხელს ნუ გადაყობი და არაფერი მინდა შენი,—გააწყვეტინა სიტყვა ალიოშამ.

— ამფხანიკებო, მარუსია სრულ ქეშმარიტების ამბობს,—წაეკომაგვა ალექსანდრე,—ჩვენ ჩვენი ქვეყნისთვის უნდა ვიბრძოლოთ, და მისთვისაც ვართ „სარევილიუციო“ პარტიის წევრები. მართალია მე ერთ დროს პოლიციელი ვიყავი „სისკნოში“, მარა ისენი მე ყოველთვის მძულდა და მიტრამაც ათასიოდე მანეთი შეუქამე ძველ რეგიმის და თუშკრა ამისთვის ციხეში ჩამაჯდნისეს, მარა რა უყოთ, „რევილიუციონერის“ მამინ ყველას ატუსაღებდენ, ამით ვამაყობ მეც (ფიცხელი ტაშის ცემა).

— უი, რა კარგია, რა ღამაა!—წასჩურჩულა ერთმა ბარიშნათვანმა მეორეს.

— ამას მეორე სტუტენტი ჯობს,—შენიშნა მეორე ბარიშნამ.

— ყმარწვილებო,—მიჰმართა მიხამ იქ დამსწრეთ,—ჯერ უსურვოთ ჩვენს სამშობლოს დღენგრძელობა... ბლოგს ბერდიო, ხინჩლია, რონეს შეყრილან სმახედა...

— ბრავო, ვაშა, მიხა!—შესძახა სტუდენტმა ვეგამ,—რაც უნდა იყოს მიქამე სჯობს კორძაისო, მართალი ნათქვამია, ღელა არ მომიკვდეს.

— მუშუთაშპაავლოლობას დიდილიი მნიშვნელოლოობა აქვევსსს აღმითიანითისსს ტვინიითის კოლოლოოოოოოოოოოო—წარმოსთქვა ელამმა სტუდენტმა.

— მეგრე შენზე ვერაფერი ვერ იმოქმედა?—შენიშნა ცაქუნამ. (სიცილი).

— არრ როოოოოოოოოო ვარ თუთუ?

— Очен нужна...

— დემოკრატებმა პარტიაში არ ჩაამწერეს,—განაცხადა ერთმა ბარიშნამ,—ოცი წლის ვერ ხარო და...

— უი, იქინე მიანც არ ჩვეწერება, რომ...

очен нужна... რას გავენ, განძინილოდაკონილები,—ჩაერია ცაქუნა.

— რა ექნა, კუკლიკა არ მომიკვდეს, ვსუხვარ, მარა რაცხა ვერ ურიცდები იმათ საქციელს, სინიბმურეს, მუსიფის, ზრდილობას,—დაუმტა მარუსიამ,—ამხანავო, ამხანავო—გიძახხინ; რის ამხანავო, რა ამხანავო, მიდღემში ტუბილეულობა არ უქამათ... нѣт, нѣт, они не поймут нас, а мы их...

— რას ბოდავ, ქალო, ჩემიანი, ქართველები, ქართველებო, რომ გიძახხი, განა ისენი ქართველები არ არიან?—შენიშნა ალიოშამ.

— ქართველი ყველა ერთი კი არ არის... აბა ისენი ინტელიგენტები არიან? არაფერი არ გაგეგება და ისე говориш, молчи пожалуйста...

— მართლაც ვერაფერი გამიგია... (ამოქნარებს).

— დიდი გიორგი ზდანოვინი თუ ქართველი არაა,—თავ-მოწონებით წარმოსთქვა ერთმა ბანოვანმა,—ფრიადა ჰგავს ბეკოს, ხეთისოს, ილიას, დიმიტრიას და თუ გნებავთ იმათ მეთაურებს, და...

— გიორგის იცნობთ? კარგათ იცნობთ გიორგის? ახლო ნაცნობია გიორგი?—ერთხმით შეკითხენ სტუდენტები ბანოვანს.

— რასაკვირველია, რომ ვიცნობთ!—ამაყათ უპასუხა ბანოვანმა,—გიორგი, კიტა და იაზონი დიდი ხანია, რომ მწრთენიან, მავარჯიშებენ, მათამიმებენ და ამიტომაც გახლავთ, რომ ჩემი „სტატები“ ხშირად იბეჭდება „მეგობარში“.

— Вот как!.. დიდებულო! замечательно! восхищающе!—აღფრთოვანებით წარმოსთქვეს სტუდენტებმა.


— დევწვი, დევიზრაკე, ბიკო...—წასჩურჩულა შეგვგრემანმა სტუდენტმა ქერას.

— ტყვლა ნუ იწვი... მიგან ბევრი შენისთანა დადნო, მარა...—შენიშნა ქერა სტუდენტმა.

— ბატონებო, თქვენ ეს მიბრძანეთ, დრამის და ავტოკევალობის საქმე როგორ იქნება?—ჩაერია ვანო ხუცესი.

— მამო, რა დროს დრამაა,—უპასუხა ქერას სტუდენტმა,—ესლა რევილიუციოა და ამას უნდა ვწერებოდეთ. ხომ ხელდავ ფედერალისტია „სარევილიუციო“ პარტიას რამდენი საქმე აქვს.

— ხუცესო, ესენი არაა ჩვენი საქმე, წავი-



დეთ, — წასტურჩულა ერთმა ფოფოდიამ და თან მკლავში ხელი გაუყარა).

— ესენი, აბა შენმა სიკოცხლემ დემოკრატებია ჩვენი საქმე და კაი დღესაც დაგაყენებენ, — შეუტრია ხუცესმა.

— გივგონეთ, იმ უფრიამ დღეს რა მითხრა: შენისთანა მეჭრთამე არავინ ყოფილაო, — მოახსენა ალექსანდრემ კრებას.

— ისეც გავიგონე, რომ არ გვენდებხართო. — დაამატა მიხამ, — მარა რა უყოთ. ყმაწვილებო, ჯერ უსურვით...

— მომიტყევთ, მომიტყევთ, простите. но это не так... — შეაწყვეტანა არსენმა.

— მოვა დრო და ჩვენს ქუჩაზედაც ინათლებს! — იმედინათ წარმოსთქვა ვარლამმა.

— გენაცვალე, რა კარგია! მე არავისი არ მეშინია, რა უყოთ მეგრე, — დამოწმა ცაცუნია.

— მამა არ მომიკვდეს, აქ ყოფნას არაფერი ჯობია, — დაამატა ღიმილიანი ჯერა ბარიშნამ: შეხედე იმ სლუტენტს, რა თვალეები აქვს.

— უი, მე აბა ის უფრო მომწონს, ის გაბუნდელულებული რომაა, ხა, ხა, ხა! — გადიკასკასა ტანწვრილა ბარიშნამ და თან თვალზეხელი მიიფარა!

— რას იფარებ თვალეზე ხელს, რასი გრცხვენია? სიყვარული სირცხვილია? очен нужна!

— ჩვენთვის არავინ რჩება! — უთხრეს დაღონებულმა ორმა ბარიშნამ ერთმანეთს.

მიხა, არსენი, ალექსანდრე, ორი ხუცესი და ზოგიერთი ხნიერი ვასახოვარ-ვათხოვილნი ზოგნი თვლემენ და ზოგი უკვე ხვრინავს. სტუდენტები, ბანოვანნი, ვარლამი, ცაცუნია და რამოდენიმე ბარიშნა ერთი-მეორეს ემასხრებიან, იცინიან, ღლაბუტობენ. ამ დროს შემოვა „სარეგოლიუციო“ პარტიის წითელი მილიციონერი გრიშა და ერთს სტუდენტს ჯიბიდან საფულეს ამოაცლის. შეიქნება ჩოჩქოლი.

— ამბანაგებო, — განუმარტა გრიშამ, — მე ეს

განგებ კი არ მიქნია, ჩვეულებრივად რომ უსათუოთ რაც სხვის ჯიბეშია, ან ჩემს ჯიბეში უნდა ვაღმრევსახლო, აბა!

— რა უყოთ, ამბანაგებო! მიგი კლემტომანი ყოფილა და, დედა არ მომიკვდეს, სირცხვილი არ იყოს, — წებებარა სტუდენტი ვიგა.

ამ დროს შემოდის არღნითა და ღვინით ხელში „სარეგოლიუციო“ პარტიის „კომისარი“ ვასო, რომელიც მღერის: „ეგ არის რომ მომაგონებს ჩემს სამშობლოს დაჩაგრულსა“.

— ეხ, მეზურნე დაქვა, დაქვა, ბლოგს ზერღია! — შეკვირა მიხამ და ზეზე წამოვარდა.

— მომიტყევთ, простите, — ჩაერია არსენა.

— ვარლამს აკლია დიდი სტაქენი, — შენიშნა ალექსანდრემ.

— არა გრცხვენიათ, რას შერებთ, — შეუტრია უკმაყოფილო ბანოვანმა.

— შე დალოცვილო ყველა გიორგი და კიტკი არა ვართ, — უბასუხა ალექსანდრემ.

„სარეგოლიუციო“ კრება თანდათან იშლება. ერთი ჯგუფი ღვინის გარშემო იყრის თავს, ხუცეები და ფოფოდიები უკმაყოფილოთ გარბიან; ვაქრის ცოლები ზანტათ მიიზღაზნებიან. სტუდენტები, ბანოვანნი, ცაცუნია და სამიოდ ბარიშნა მკლავი-მკლავში გაყრილნი მიხარბაკებენ. მთვარიან ღამეს განკვიფრებაში მოყავს ისინი. ალიოშა და მარუსია ცხარე კამათით აფთიაქისკენ მიისწრაფიან. „სარეგოლიუციო“ პარტიის „რეგოლიუციო“ ამ სღამამს ზემოთ ნათქვამით თავდებმა. შორიდან კი მჭექარა სიმღერის ხმა მოისმის: „ზიზლით უცქერთ ჩვენ ოქროს კერპებს, მეფის ტახტის ვართ მოსისლვე მტერი“.

მხიარულათ მოლაზღანდარე სტუდენტ ბარიშნებს თვალი გაეყავლენ და დაღონებულმა წამოვიძახე: O, temporal O, mores!..

უჩინმანი.